მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრები

2020 - 2022

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

Visegrad Fund

Ministry of Foreign Affairs
Republic of Korea

სტატია მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პროექტის - ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისთვის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და გამჭვირვალობის სტანდარტების გაზრდა - ფარგლებში.
პროექტი დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის და კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.

სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის და კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას.

ძირითადი მიგნებები 4

შესავალი 6

დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები 7

თანამდებობის პირების მიერ მიღებული ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრები 10

მიღებული საჩუქრების კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევები 19

დასკვნა 30

ძირითადი მიგნებები

- 2020-2022 წლებში მუნიციპალიტეტების 224-მა თანამდებობის პირმა ან მისმა ოჯახის წევრმა მიიღო საჩუქარი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 9.8 მილიონ ლარს;

- 2020 წელს მიღებული საჩუქრების ღირებულებაა - 3,2 მილიონი ლარი, 2021 წელს - 3,5 მილიონი ლარი, ხოლო 2022 წელს - 3,1 მილიონი ლარი;

- 2020-2022 წლებში 7,3 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქარი მიღებული აქვთ უშუალოდ დეკლარანტ თანამდებობის პირებს, ხოლო 2,5 მილიონი ლარის საჩუქარი - მათი ოჯახის რომელიმე წევრს;

- 7,9 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქარი დეკლარანტებს ან მათ ოჯახის წევრებს მიღებული აქვთ კანონით განსაზღვრული ახლო ნათესავებისგან; 1,1 მილიონი ლარის საჩუქარი მიღებული აქვთ ნათესავებისგან, რომელსაც კანონმდებლობა არ მოიაზრებს ახლო ნათესავად; 737,1 ათასი ღირებულების საჩუქარი მიღებული აქვთ მეგობრებისგან, ხოლო 92,2 ათასი ლარის ღირებულების საჩუქრის გამცემად მითითებულია სამსახურეობრივი და სხვა კავშირი;

- 2020-2022 წლებში თანამდებობის პირებს და მათ ოჯახის წევრებს 4.8 მილიონი ლარის ღირებულის საჩუქარი მიღებული აქვთ ფულადი ფორმით, 4.5 მილიონი ლარის საჩუქარი - უძრავი ქონების სახით, ხოლო დანარჩენი 472 ათასი ლარის ღირებულების საჩუქრები წარმოადგენს ავტომობილებს ან სხვადასხვა ფასიან ნივთებს;

- 2020-2022 წლებში მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირებს შორის ყველაზე მეტი საჩუქარი მიიღეს ქ. თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირებმა და მათმა ოჯახის წევრებმა, შემდეგ მოდის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

- მონიტორინგის ფარგლებში თანამდებობის პირების მიერ საჩუქრების სავარაუდოდ კანონის დარღვევით მიღების 53 საეჭვო შემთხვევა გამოვლინდა. საიდანაც 29 შემთხვევაში საჩუქრის მიმღებს წარმოადგენდა დეკლარანტი თანამდებობის პირი, ხოლო 24 შემთხვევაში - თანამდებობის პირის ოჯახის წევრი;

- საჩუქრების სავარაუდოდ კანონის დარღვევით მიღების საეჭვო შემთხვევებს შორის 34 არის საკრებულოს თანამდებობის პირი, ხოლო 19 მერიის; მაგალითად, 2020-2022 წლებში ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარეს ალექსანდრე ტყებუჩავას, მეგობრებმა აჩუქეს 64 ათასი ლარი და 8000 აშშ დოლარი, ქარელის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გიგა მამესწარაშვილს ნათესავმა აჩუქა 30,380 აშშ დოლარი და 98,000 რუბლი, ყაზბეგის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს უჩა ხუციშვილს

ნათესავმა აჩუქა 30,000 დოლარის ღირებულის მანქანა, ქალაქ თბილისის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაის მეგობარმა აჩუქა ნაღდი ფული - 16,189 ლარი, დუშეთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ-ს თამილა ნადირაშვილს, ოჯახის ახლობელმა აჩუქა 39,500 დოლარი და სხვა.

- საჩუქრის სავარაუდოდ კანონის დარღვევით მიღების შემთხვევებს შორის, ჭარბობენ ბორჯომის (4 შემთხვევა), ქალაქ ფოთის (3 შემთხვევა), ოზურგეთის (3 შემთხვევა) და თბილისის (3 შემთხვევა) მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირები.

- ცალკეული თანამდებობის პირების დეკლარაციები, საჩუქრის კანონის დარღვევით მიღებასთან ერთად, სავარაუდო კორუფციული დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავს; მაგალითად, ბორჯომის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი გურამ ჩადუნელისთვის საზღვარგარეთიდან ხორციელდება ფულადი გზავნილები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების შესაძენად. თანამდებობაზე დანიშვნის, შემდეგ მის საკუთრებაში დარეგისტრირდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული 9 სხვადასხვა მიწის ნაკვეთი, საერთო ღირებულებით 172,000 აშშ დოლარი. ამავე დროს ჩადუნელის მიერვე შევსებულ დეკლარაციაში მითითებულია, რომ მისი **რეალური მფლობელია** საუდის არაბეთის მოქალაქე ალრაჰმა ზიიად აჰმედი. მან ასევე, 2021 წელს საჩუქრის სახით მეგობრისგან მიიღო 36,660 აშშ დოლარი.

- მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე გრიგალავამ 2020 წელს ფეხბურთის ფედერაციისგან საჩუქრის სახით მიიღო 40,000 ლარის ოდენობის ფულადი პრემია, თუმცა დეკლარაციაში მითითებული არ არის პრემიის მიღების საფუძველი.

- თანამდებობის პირების ცალკეული დეკლარაციები, არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას, საჩუქრის მიმღებსა და გამცემს შორის კავშირის შესახებ.

შესავალი

აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირებისა და მოსამართლეების მიერ 2020-2022 წლებში მიღებული საჩუქრების დეკლარირებული ინფორმაციის მონიტორინგის შემდეგ, IDFI-მ შეისწავლა მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირების მიერ დეკლარაციაში ასახული საჩუქრების შესახებ ინფორმაცია. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირები არიან: ***მუნიციპალიტეტის მერი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე და მისი მოადგილე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებელი და მისი მოადგილე, რაიონის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.*** შესაბამისად, აღნიშნულ თანამდებობის პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე ვრცელდება კორუფციასთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული ყველა შეზღუდვა.

კერძოდ, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს **ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაზე. წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრის ღირებულება 5%-ს. ოჯახის თითოეული წევრის მიერ წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1,000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრის ღირებულება 500 ლარს.** „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონი, საჯარო მოსამსახურის მიერ საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით აწესებს გამონაკლისებს. მათ შორის, **კანონის მიზნებისთვის საჩუქრად არ ითვლება ოჯახის წევრისგან და ახლო ნათესავისგან მიღებული საჩუქარი. საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრისთვის, რომელიც მიიღებს კანონით აკრძალულ საჩუქარს.**

წინამდებარე კვლევის ფარგლებში შესწავლილია 2021-2023 წლებში მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირების მიერ შევსებული დეკლარაციები, სადაც დეკლარირებულია თანამდებობის პირებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ 2020-2022 წლებში მიღებული საჩუქრების შესახებ ინფორმაცია.

დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები

კვლევის ობიექტი თანამდებობის პირების მიერ ბოლო სამ წელში შევსებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2020-2022 წლებში 224 თანამდებობის პირმა ან მისმა ოჯახის წევრმა მიიღო საჩუქარი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 9,8 მილიონ ლარს. წლების მიხედვით, მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულება, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, 2020 წელს მიღებული საჩუქრების ღირებულებაა - 3,2 მილიონი ლარი, 2021 წელს - 3,5 მილიონი ლარი, ხოლო 2022 წელს - 3,1 მილიონი ლარი. 2022 წელს, მიღებული საჩუქრების რაოდენობა არ ფარავს ყველა თანამდებობის პირს, ვინაიდან 2022 წლის მონაცემები ასახულია 2023 წლის დეკლარაციებში, ხოლო 2023 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, დეკლარაციები წარდგენილი არ აქვს თანამდებობის პირთა გარკვეულ ნაწილს.



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირების მიერ დეკლარირებული ინფორმაციის მიხედვით, 2020-2022 წლებში 7,3 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქარი მიღებული აქვთ უშუალოდ დეკლარანტ თანამდებობის პირებს, ხოლო 2,5 მილიონი ლარის საჩუქარი - მათი ოჯახის რომელიმე წევრს. თანამდებობის პირთა მიერ მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულების ანალიზის დროს, მაქსიმალურად გამოირიცხა ისეთი შემთხვევები როდესაც ორი სხვადასხვა თანამდებობის პირი წარმოადგენს ერთი ოჯახის წევრს, შესაბამისად ერთი კონკრეტული საჩუქარის შესახებ ინფორმაცია აისახება ორი სხვადასხვა თანამდებობის პირის დეკლარაციაში და მათი ხელოვნური დაჯამება გამოიწვევდა თანხების დუბლირებას.



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის მიხედვით, საჯარო მოსამსახურეების, მათ შორის თანამდებობის პირების მიერ მიღებული **საჩუქრების ღირებულებაზე შეზღუდვები არ არის დაწესებული თუ საჩუქრის გამცემს წარმოადგენს ახლო ნათესავი. კანონის მიზნებისთვის ახლო ნათესავებს მიეკუთვნება: ოჯახის წევრები, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ნათესავები (დედა, მამა. ბებია, ბაბუა, შვილი, შვილიშვილი), და-ძმა, მშობლის გერი, შვილის გერი.** თანამდებობის პირების მიერ, დეკლარაციებში საჩუქრის გამცემთან კავშირის გრაფაში მითითებული მონაცემების მიხედვით, 2020-2022 წლებში, დეკლარირებული საჩუქრების დიდი ნაწილი (7,9 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქარი) დეკლარანტებს ან მათ ოჯახის წევრებს მიღებული აქვთ კანონით განსაზღვრული ახლო ნათესავებისგან. დანარჩენი საჩუქრებიდან, 1,1 მილიონი ლარის საჩუქარი მიღებული აქვთ ნათესავებისგან, რომელსაც კანონმდებლობა არ მოიაზრებს ახლო ნათესავად (მაგალითად, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, მეუღლის ნათესავები და ა.შ.) და შესაბამისად ეს შემთხვევები ხვდებიან საკანონმდებლო შეზღუდვებში. ასევე, 737,1 ათასი ლარის ღირებულების საჩუქარი მიღებული აქვთ მეგობრებისგან, ხოლო 92,2 ათასი ლარის ღირებულების საჩუქრის გამცემად მითითებულია სამსახურეობრივი და სხვა კავშირი.



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

2020-2022 წლებში თანამდებობის პირებს და მათ ოჯახის წევრებს 4.8 მილიონი ლარის ღირებულის საჩუქარი მიღებული აქვთ ფულადი ფორმით, 4.5 მილიონი ლარის საჩუქარი - უძრავი ქონების სახით, ხოლო დანარჩენი 0.4 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქრები წარმოადგენს ავტომობილებს ან სხვადასხვა ფასიან ნივთებს.



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

ქვემოთ, დეტალურად გაანალიზებულია მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, ანალიზი მოიცავს ყველაზე დიდი ღირებულების მქონე საჩუქრების შესახებ მონაცემებს. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისეთ შემთხვევებზე, რომელიც აჩენს ეჭვებს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ კანონის მოთხოვნების სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით.

თანამდებობის პირების მიერ მიღებული ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრები

2020-2022 წლებში მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირებს შორის ყველაზე მეტი და მაღალი ფასის საჩუქარი მიიღეს ქ. თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირებმა და მათმა ოჯახის წევრებმა. მაგალითად, ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირებმა ამ პერიოდში მიიღეს 892,019 ლარის ღირებულების საჩუქრები, ხოლო ქ. თბილისის საკრებულოს თანამდებობის პირებმა - 838,741 ლარის საჩუქრები. მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულებით ასევე გამორჩეულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები - 650,200 ლარის საჩუქრებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია - 337,035 ლარის საჩუქრებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 412,902 და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 366,537 ლარის საჩუქრებით.





შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრების მიმღები თანამდებობის პირების ან/და მათი ოჯახის წევრების უმრავლესობის შემთხვევაში, საჩუქრის გამცემებად მითითებულია იმ პირთა წრე, ვისზეც საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეზღუდვებს. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დეკლარაციებში ასახული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ იძლევა ძვირადღირებული საჩუქრის გამცემი პირების და მათი ფინანსური შესაძლებლობების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

ამასთან, ძვირადღირებული საჩუქრის მიმღებ პირებს ხშირ შემთხვევაში უკავიათ მაღალი კორუფციული რისკის მქონე თანამდებობები, რაც წარმოშობს მსგავს შემთხვევებზე დამატებითი მოკვლევის ჩატარების აუცილებლობას.

ქალაქ თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირების ან მათი ოჯახის წევრების მიერ მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულების მაღალი მაჩვენებელი, მეტწილად განპირობებულია ახლო ნათესავებისგან მიღებული ძვირადღირებული საჩუქრებით.

მაგალითად, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის უკვე ყოფილმა მოადგილემ თამარ მელიქიშვილმა 2020 წელს მამისგან საჩუქრად მიიღო 102,631 დოლარის ღირებულების უძრავი ქონება, ასევე, 2020-2021-2022 წლებში მიიღო 101,082 ლარის ფულადი საჩუქრები როგორც ოჯახის წევრებისგან, ისე ნათესავებისგან. თბილისის მერიის კიდევ ერთ თანამდებობის პირს, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს, გიორგი აბუთიძეს 2020 წელს შვილისგან, ირაკლი აბუთიძისგან აქვს მიღებული საჩუქარი ფულადი სახით 65,823 ევრო. ხოლო, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის ლაშა მაჭავარიანის მეუღლეს, დედისგან აქვს მიღებული 147,635 ლარი (50000 აშშ დოლარის ექვივალენტი) საჩუქრად 2022 წელს.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, გიორგი ახვლედიანს 2021 წელს შვილისგან საჩუქრად მიღებული აქვს 90,000 აშშ დოლარის ღირებულების სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ხოლო მის მეუღლეს 2020 წელს ძმისგან საჩუქრად აქვს მიღებული 45,000 აშშ დოლარის ღირებულების ბინა მცხეთაში. გიორგი ახვლედიანის მიერ შვილისგან საჩუქრად მიღებული მიწის ნაკვეთის თავდაპირველ მესაკუთრეს წარმოადგენდა თავად გიორგი ახვლედიანი. საჯარო რეესტრში და მის ქონებრივ დეკლარაციებში ასახული ინფორმაციის მიხედვით, მან აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2013 წელს შეისყიდა 35,000 აშშ დოლარად, რომელიც 2019 წელს, ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა საკუთარ შვილს - ლევან ახვლედიანს. 2021 წლის 5 ივლისს, შვილმა ასევე ჩუქების ხელშეკრულებით უკან გადმოუფორმა გიორგი ახვლედიანს, რომელმაც 4 აგვისტოს გაყიდა 90,000 აშშ დოლარად.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარის ირაკლი ნადირაძის მეუღლემ, 2021 წელს მამისგან მიიღო საჩუქრად 65,000 დოლარის ღირებულების ბინა ბათუმში. თბილისის საკრებულოს კიდევ ერთი ფრაქციის “ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარეს, ოთარ გრიგოლიას ცოლს 2020-2021-2022 წლებში მშობლებისგან მიღებული აქვს საჩუქრად 12,427 აშშ დოლარი, 27,367 დოლარი მეუღლისგან, ხოლო 2,000 დოლარი ნათესავისგან.

ყველაზე მაღალი ფასის და მეტი საჩუქრის მიმღებთა სიაშია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ქირიკაშვილი, რომელმაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, 2020 წელს მშობლებისგან საჩუქრად მიიღო 580,000 ლარის უძრავი ქონება, ორი სახლი და ორი მიწის ნაკვეთი. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა გიორგი ავსაჯანიშვილმა კი, 2020 წელს ბიძისგან საჩუქრად მიიღო ორი მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი ფართი 70,200 ლარის ღირებულების.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ხვიჩა სიმონიშვილის მეუღლეს 2020 წელს, დედისგან მიღებული აქვს საჩუქრად 70,000 აშშ დოლარის ღირებულების ბინა. ამ პერიოდში ხვიჩა სიმონიშვილი მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების უფროსის პოზიციაზე მუშაობდა. ბათუმის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს მამუკა დარჩიას, 2021 წელს საჩუქრად მიღებული აქვს საცხოვრებელი ბინა შვილისგან - ღირებულებით 50,000 დოლარი. აღნიშნულ ქონებაზე განმარტებაში მითითებულია, რომ ღირებულება პირობითია, ასევე ამავე წელს საჩუქრად მიღებული აქვს კიდევ ერთი უძრავი ქონებაც, ამჯერად მშობლებისგან, სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწა, 25,000 ლარის ღირებულების, ამ შემთხვევაშიც შენიშვნაში მითითებულია, რომ ღირებულება პირობითია.

მიღებული საჩუქრების ღირებულებით სიის ხუთეულში ხვდება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ჩხოროწყუ-საქართველოსთვის“ თავმჯდომარე თენგიზ ზედანია, რომელმაც 2021-2022 წლებში ძმისგან საჩუქრად მიიღო ფულადი თანხა 72,500 დოლარი, ხოლო 2022 წელს მეგობრისგან - 5,000 დოლარი. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეს ჯეიხუნ ჩოიდაროვს 2021-2022 წლებში მშობლისგან მიღებული აქვს საჩუქრად 100,000-100,000 ლარი. თამარ ბეწუნაშვილს, ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს, 2020 წელს შვილისგან საჩუქრად მიღებული აქვს 60,000 დოლარის ღირებულის საცხოვრებელი ბინა თბილისში. 150,000 ლარის ღირებულების კომერციული ფართი აქვს დედისგან საჩუქრად მიღებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს სამირ ხიალოვს, რომელიც საჩუქრის მიღების პერიოდში 2021 წელს მერის მრჩევლის პოზიციაზე მუშაობდა. ძვირადღირებული საჩუქრების სიაში გვხვდება ოჯახის წევრებისგან საჩუქრად მიღებული მანქანებიც. მაგალითად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ, არჩილ ღიბრაძემ 2022 წელს მშობლისგან საჩუქრად მიიღო 17,500 დოლარიანი მსუბუქი ავტომობილი. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ ელიზბარ კობახიძემ 2022 წელს ძმისგან მიიღო საჩუქრად 15,000 დოლარის ღირებულების ავტომანქანა.



შენიშვნა: კვლევის გამოქვეყნების შემდეგ, 2023 წლის 19 დეკემბერს, IDFI-ს დაუკავშირდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია და წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია მიღებულ საჩუქართან დაკავშირებით. მისი განმარტებით, დეკლარაციაში ასახული საჩუქრის სახით მიღებული უძრავი ქონება, წარმოადგენს მისი მშობლების მიერ მემკვიდრეობით გადმოცემულ 30კვ.მ ბინას, სადაც ის ცხოვრობს დაბადებიდან. ამასთან ქონება საჩუქრად გადაეცა თამარ ბელქანიას არასრულწლოვან შვილს, რომლის მეურვეს წარმოადგენს თავად. IDFI მიესალმება თამარ ბელქანიას სურვილს, უზრუნველყოს საზოგადოების სრულყოფილი ინფორმირება კვლევაში ასახულ ინფორმაციასთან და მიღებული საჩუქრის (მემკვიდრეობის) წარმომავლობის კანონთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

მუნიციპალიტეტების მერიის თანამდებობის პირების მიერ, ერთჯერადად მიღებული ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრები, საჩუქრის სახეების მიხედვით					
ფულადი საჩუქარი					
თანამდებობის პირი	**თანამდებობა**	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
გიორგი აბუთიძე	ქ. თბილისის მერია ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	65,823 EUR	შვილი	2020
ლაშა მაჭავარიანი	ქ. თბილისის მერია მუნიციპალური ინსპექციის უფროსი	ოჯახის წევრი	147,635 GEL	დედა	2022
გურამ ჩადუნელი/ ეკა გოშაძე	ბორჯომის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი/ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	36,660 USD	მეგობარი	2021
თამილა ნადირაშვილი	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ	დეკლარანტი	39,500 USD	ოჯახის ახლობელი	2022
ვახტანგ მაისურაძე	კასპის მუნიციპალიტეტის მერია მერი	დეკლარანტი	34,964 USD	დედა	2022
უძრავი ქონება					
თანამდებობის პირი	**თანამდებობა**	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
თამარ მელიქიშვილი	ქ. თბილისის მერია, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე (ყოფილი)	დეკლარანტი	ბინა, 102,631 USD	მამა	2020
დავითი ქირიკაშვილი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო, თავმჯდომარე	დეკლარანტი	სახლი, 300,000 GEL	დედა	2020
ხვიჩა სიმონიშვილი	გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	ოჯახის წევრი	საცხოვრებელი ბინა, 70,000 USD	დედა	2020

მამუკა დარჩია	ქ. ბათუმის მერია შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	საცხოვრებელი ბინა, 50,000 USD	შვილი	2021
დავითი ქირიკაშვილი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო, თავმჯდომარე	დეკლარანტი	მიწის ნაკვეთი, 150,000 GEL	დედა	2020
ავტომობილები და სხვა ნივთები					
თანამდებობის პირი	**თანამდებობა**	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
თამაზ გეგეშიძე	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია ზედამხედველობის სამსახურის უფროსი	ოჯახის წევრი	ავტომანქანის ღირებულების ნაწილობრივი ანაზღაურება, 12,000 USD	შვილი	2021
დოდო ხუნაშვილი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი	ოჯახის წევრი	მსუბუქი ავტომანქანა, 10,000 GEL	შვილი	2021
ირაკლი ძიძიგური	ხობის მუნიციპალიტეტის მერია შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსი	ოჯახის წევრი	ავტომობილი , 2,500 USD	ბიძა	2020
კორნელ უგრეხელიძე	ხონის მუნიციპალიტეტის მერია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	მსუბუქი ავტომობილი, 2,500 USD	შვილი	2020
ფატი ჯინჭარაძე	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია საფინანსო სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	ავტომობილი მსუბუქი, 5,200 GEL	მეუღლის ძმა	2022

მუნიციპალიტეტების საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ, ერთჯერადად მიღებული ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრები, საჩუქრის სახეების მიხედვით					
ფულადი საჩუქარი					
თანამდებობის პირი	**თანამდებობა**	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
თენგიზ ზედანია	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ჩხოროწყუ-	დეკლარანტი	71,000 USD	ძმა	2022

	საქართველოსთვის“ თავმჯდომარე				
ჯეიხუნ ჩოიდაროვი	მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე	დეკლარანტი	100,000 GEL	მშობელი	2022
ჯეიხუნ ჩოიდაროვი	მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე	დეკლარანტი	100,000 GEL	მშობელი	2021
თენგიზ ირემაძე	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავმჯდომარე	დეკლარანტი	22,915 EUR	დედა	2022
გიორგი კოკაია	მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე	ოჯახის წევრი	20,400 EUR	დედა	2022
უძრავი ქონება					
თანამდებობის პირი	**თანამდებობა**	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
გიორგი ახვლედიანი	ქ. თბილისის საკრებულო თავმჯდომარის პირველი მოადგილე	დეკლარანტი	სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, 90,000 USD	შვილი	2021
ირაკლი ნადირაძე	ქ. თბილისის საკრებულო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე	ოჯახის წევრი	ბინა, 65,000 USD	მამა	2021
თამარი ბეწუნაშვილი	ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიის თავმჯდომარე	დეკლარანტი	საცხოვრებელი ბინა, 60,000 USD	შვილი	2020
სამირ ხიალოვი	გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავმჯდომარის პირველი მოადგილე	დეკლარანტი	კომერციული ფართი, 150,000 GEL	დედა	2021
გიორგი ახვლედიანი	ქ. თბილისის საკრებულო თავმჯდომარის პირველი მოადგილე	ოჯახის წევრი	ბინა, 45,000 USD	ძმა	2020

ავტომობილები და სხვა ნივთები					
თანამდებობის პირი	**თანამდებობა**	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
უჩა ხუციშვილი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე	დეკლარანტი	მანქანა, 30,000 USD	ნათესავი	2022
თემური მაღლაკელიძე	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიის თავმჯდომარე	დეკლარანტი	მანქანა, 20,000 USD	დედა	2022
არჩილი ღიბრაძე	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიის თავმჯდომარე	დეკლარანტი	მსუბუქი ავტომობილი, 17,500 USD	მშობელი	2022
ელიზბარ კობახიძე	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიის თავმჯდომარე	დეკლარანტი	ავტომანქანა, 15,000 USD	ძმა	2022
ამბარცუმ ბაბოიან	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიის თავმჯდომარე	ოჯახის წევრი	ავტომანქანა, 8,000 USD	მამა	2020

მიღებული საჩუქრების კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევები

მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების მიერ შევსებული დეკლარაციების მიხედვით, ხშირია შემთხვევები როდესაც დეკლარანტ თანამდებობის პირზე ან/და მის ოჯახის წევრზე საჩუქარი გაცემულია მეგობრებისგან ან ისეთი ნათესაური კავშირის მქონე პირისგან რომელსაც კანონმდებლობა არ მოიაზრებს ახლო ნათესავად (მაგალითად, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, მეუღლის ნათესავები და ა.შ.) და შესაბამისად არ არის განთავისუფლებული საკანონმდებლო შეზღუდვებისგან. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა თითოეული მსგავსი შემთხვევა. თანამდებობის პირების მიერ საჩუქრის კანონის დარღვევით მიღების საეჭვო შემთხვევად, მიჩნეული იქნა ისეთი საჩუქრები, რომლებიც ერთდროულად აკმაყოფილებდა შემდეგ პირობებს:

- საჩუქარი მიღებული არ არის ახლო ნათესავისგან ან დეკლარაციაში ასახული ცნობა არ იძლევა საჩუქრის გამცემთან კავშირის დადგენის შესაძლებლობას.
- მიღებული საჩუქრის ღირებულება აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებს.

- საჩუქრის მიღების პერიოდში, თანამდებობის პირი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს.
- დეკლარაციაში არ არის მითითებული, მიღებული საჩუქრის შესახებ ისეთი განმარტება რომელიც დაადასტურებდა მის კანონიერებას.

კვლევის ფარგლებში დეკლარაციებში მითითებული მონაცემების საფუძველზე IDFI-ს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირების ან მათი ოჯახის წევრების მიერ საჩუქრის კანონის დარღვევით მიღების 53 საეჭვო შემთხვევა, საიდანაც 29 შემთხვევაში საჩუქრის მიმღებს წარმოადგენდა დეკლარანტი თანამდებობის პირი, ხოლო 24 შემთხვევაში - თანამდებობის პირის ოჯახის წევრი. საეჭვო შემთხვევებს შორის 34 არის საკრებულოს თანამდებობის პირი, ხოლო 19 მერიის.

საჩუქრის სავარაუდოდ კანონის დარღვევით მიღების შემთხვევებს შორის, ჭარბობენ ბორჯომის (4 შემთხვევა), ქალაქ ფოთის (3 შემთხვევა), ოზურგეთის (3 შემთხვევა) და თბილისის (3 შემთხვევა) მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირები. მაგალითად, ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ტყებუჩავამ, 2022 და 2021 წლებში, თითოეულ წელს მეგობრისგან საჩუქრად მიიღო 12 ათასი ლარი. მას ასევე, 2020 წელს, საჩუქრად მეგობრისგან მიღებული აქვს 8000 აშშ დოლარი და 40,000 ლარი. 2020 წელს ის იკავებდა ქალაქ ფოთის მერიის მონიტორინგის განყოფილების უფროსის თანამდებობას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა კილაძემ 2022 წელს მეგობრისგან საჩუქრად მიიღო 15,350 ლარი, 2021 წელს - 11,300 ლარი, ხოლო 2020 წელს 6,500 ლარი. ასევე, ოზურგეთის ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილემ 2020-2022 წლებში, თითოეულ წელს მეგობრისგან და ნათესავებისგან საჩუქრად მიიღო 8,380 ევრო, 200 აშშ დოლარი და 2,035 ლარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსმა გურამ ჩადუნელმა 2021 წელს მეგობრისგან საჩუქრის სახით მიიღო 36,660 აშშ დოლარი. მისი მეუღლე ეკა გოშაძე, ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში იკავებს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თანამდებობას. მის დეკლარაციაში მითითებულია რომ, 2021 წელს მან მეგობრისგან საჩუქრად მიიღო ასევე 36,660 აშშ დოლარი. დეკლარაციების მიხედვით, როგორც გურამ ჩადუნელმა ასევე, მისმა მეუღლემ თითოეულმა მიიღო მეგობრებისგან საჩუქრად ერთი და იგივე თანხა. ასეთ შემთხვევაში, თითოეულის დეკლარაციაში ასახული უნდა იყოს მეუღლის მიერ მიღებული საჩუქრის შესახებ ინფორმაციაც. შესაბამისად, შესაძლებელია დეკლარაციის შევსებისას რომელიმე დეკლარანტს არასწორად ქონდეს მითითებული საჩუქრის მიმღები და საუბარი იყოს ერთი და იგივე გზავნილზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფულად გზავნილებს საზღვარგარეთიდან გურამ ჩადუნელი იღებდა 2022 წელსაც, თუმცა ამჯერად მას სოლიდური თანხები საჩუქრის სახით არ მიუღია. კერძოდ, 2022 წელს მან ფულადი გზავნილის სახით მიიღო 95,000 აშშ დოლარი, საიდანაც დეკლარაციაში არსებული განმარტებების მიხედვით 30 ათასი აშშ დოლარი გამოეგზავნა მესამე პირებზე გადასაცემად მიწის ნაკვეთების შესაძენად, ხოლო 65,000 აშშ დოლარი გამოუგზავნა საუდის არაბეთის მოქალაქე ალრაჰმა ზიიად აჰმადმა ბორჯომში საკალმახე მეურნეობის შესაძენად. 2022 წელს, გურამ ჩადუნელისთვის საზღვარგარეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების მიზნობრიობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ იგი წარმოადგენს შუამავალს უძრავი ქონების გასხვისების ოპერაციებში. აღნიშნული ოპერაციებიდან მის მიერ მიღებული მატერიალური სარგებლის შესახებ ინფორმაცია IDFI-სთვის უცნობია, თუმცა მისი დეკლარაციებით ასევე ირკვევა რომ მუნიციპალიტეტის მერიაში თანამდებობის დაკავების შემდეგ, მის სახელზე დარეგისტრირდა საუდის არაბეთის მოქალაქის

ალრაჰმა ზიიად აჰმადის ფინანსებით შეძენილი სოლიდური ქონება. კერძოდ, გურამ ჩადუნელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე 2021 წელს დაინიშნა, რის შემდეგაც მის საკუთრებაში დარეგისტრირდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული 9 სხვადასხვა მიწის ნაკვეთი, საერთო ღირებულებით 172,000 აშშ დოლარი. დეკლარაციაში მითითებულია რომ მისი რეალური მფლობელია საუდის არაბეთის მოქალაქე ალრაჰმა ზიიად აჰმედი.

გურამ ჩადუნელი მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნამდე იყო სასაფლაოს დირექტორის მოადგილე და ამავდროულად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი. IDFI მიიჩნევს რომ გურამ ჩადუნელის დეკლარაციაში ასახული მონაცემების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია საჩუქრის უკანონოდ მიღების ფაქტთან ერთად, შეიცავს სავარაუდო კორუფციული და სამოხელეო დანაშაულის ნიშნებსაც.

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს

საჩუქრის მიმღები	საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება	გამცემის მიმღებთან კავშირი	შენიშვნა
გურამ ჩადუნელი	ფულადი გზავნილი სხვა ქვეყნიდან, 36660 USD	მეგობარი	

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს

საჩუქრის მიმღები	საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება	გამცემის მიმღებთან კავშირი	შენიშვნა
ეკა გოშაძე	ფულადი გზავნილი სხვა ქვეყნიდან, 36660 USD	მეგობარი	

წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრის ნებისმიერი შემოსავალი, რომლის ოდენობა თითოეულ შემთხვევაში აღემატება 3 000 ლარს ან გასავალი, რომლის ოდენობა თითოეულ შემთხვევაში აღემატება 5 000 ლარს და არ არის მითითებული დეკლარაციის სხვა ფურცლებზე.

შემოსავლის/გასავლის მიმღები/გამცემი პირის ვინაობა (სახელი გვარი)	შემოსავლის ან/და გასავლის სახეობა	შემოსავლის ან/და გასავლის ოდენობა (ღირებულება)	შენიშვნა
გურამ ჩადუნელი	ფულადი გზავნილი მესამე პირზე გადასაცემად	შემოსავალი, 20000 USD	
გურამ ჩადუნელი	ფულადი გზავნილი მესამე პირზე გადასაცემად	შემოსავალი, 10000 USD	
გურამ ჩადუნელი	ფულადი გზავნილი საუდის არაბეთიდან მიწის ნაკვეთის შესაძენად	შემოსავალი, 65000 USD	
გურამ ჩადუნელი	მიღებული ფულადი გზავნილის მესამე პირზე გადაცემა	გასავალი, 20000 USD	მიწის ნაკვეთის შესაძენად სოფ. სადგერში
გურამ ჩადუნელი	მიღებული ფულადი გზავნილის მესამე პირზე გადაცემა	გასავალი, 10000 USD	მიწის ნაკვეთის შესაძენად სოფ. სადგერში
გურამ ჩადუნელი	ფულადი გზავნილი მესამე პირზე გადასაცემად	გასავალი, 65000 USD	საუდის არაბეთის მოქალაქე ალრაჰმა ზიიად აჰმადმა გააკეთა ფულადი გზავნილი ბორჯომში სოფელ ყვიბისში საკალმახე მეურნეობის შესაძენად

საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა						
სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს, ასევე რომელშიც წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით უკავია თანამდებობა ან ასრულებდა სამუშაოს	თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი	საწყისი თარიღი	საბოლოო თარიღი	სამუშაოს შესრულებით წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი (ხელზე აღებული თანხა)	შენიშვნა
გურამ ჩადუნელი	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	უფროსი ს/უ მაიორი	01.01.2020	07.09.2020	9187,65 GEL	
გურამ ჩადუნელი	სასაფლაო	დირექტორის მოადგილე	01.08.2020	31.12.2020	4020 GEL	
ეკა გოშაძე	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი	01.01.2020	31.12.2020	19200 GEL	

საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება						
ქონების მესაკუთრის სახელი, გვარი (თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ მფლობელის პროცენტული წილი)	ქონების სახეობა	შეძენის თარიღი შეძენის ფორმა გადახდილი საფასურის ოდენობა	ქონების ადგილმდებარეობა, საერთო ფართობი	რეგისტრაციის დეტალები	თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ თანამესაკუთრეები (თუ თანამესაკუთრე თქვენი ოჯახის წევრია მიუთითეთ მისი პროცენტული წილი)	შენიშვნა
გურამ ჩადუნელი 100%	მიწის ნაკვეთი	23.02.2023, ნასყიდობა, 10000USD	, , რაიონი ბორჯომი , სოფელი დვირი , (ბორნი ღელე), 1800 კვ.მ	რეგისტრირებულია საქართველოში		მიწის ნაკვეთის მფლობელი არის საუდის არაბეთის მოქალაქე ალრაპმა ზიიად აპმედ . ბორჯომი. სოფ. სადგერი კარლ რამმის ქ#40
გურამ ჩადუნელი 100%	მიწის ნაკვეთი	08.09.2021, ნასყიდობა, 22000USD	, , რაიონი ბორჯომი , სოფელი სადგერი, 550 კვ.მ	რეგისტრირებულია საქართველოში		მიწის ნაკვეთის მფლობელი არის საუდის არაბეთის მოქალაქე ალრაპმა ზიიად აპმედ . ბორჯომი. სოფ. სადგერი კარლ რამმის ქ#40
გურამ ჩადუნელი 100%	მიწის ნაკვეთი	23.02.2023, ნასყიდობა, 10000USD	, , რაიონი ბორჯომი , სოფელი დვირი , (ბორნი ღელე), 1801 კვ.მ	რეგისტრირებულია საქართველოში		მიწის ნაკვეთის მფლობელი არის საუდის არაბეთის მოქალაქე ალრაპმა ზიიად აპმედ . ბორჯომი. სოფ. სადგერი კარლ რამმის ქ#40
გურამ ჩადუნელი 100%	მიწის ნაკვეთი	17.09.2021, ნასყიდობა, 24000USD	, , მუნიციპალიტეტი ბორჯომი , სოფელი სადგერი, 600 კვ.მ	რეგისტრირებულია საქართველოში		მიწის ნაკვეთის მფლობელი არის საუდის არაბეთის მოქალაქე ალრაპმა ზიიად აპმედ . ბორჯომი. სოფ. სადგერი კარლ რამმის ქ#40

შენიშვნა: ამონარიდები გაკეთებულია გურამ ჩადუნელის და მისი მეუღლის ეკა გოშაძის 2021-2023 წლების დეკლარაციებიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საჩუქრის კანონთან შესაბამისობის საჭვო შემთხვევებს შორის მოხვდა თბილისის სამი თანამდებობის პირი. მათ შორის, ქალაქ თბილისის მერის მოადგილემ ანდრია ბასილაიამ 2020 წელს მეგობრისგან საჩუქრად მიიღო ფულადი თანხა 16,189 ლარი, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ

თამარ მელიქიშვილმა ბიძისგან 2022 წელს საჩუქრად მიიღო 6,000 ლარი, ხოლო 2021 წელს 4,000 ლარი. თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ გაურკვეველი ნათესაური კავშირის მქონე პირისგან საჩუქრად მიიღო 10 ათასი ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი.

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გიგა მამესწარაშვილს დეკლარაციაში მითითებული აქვს რომ 2022 წელს ნათესავისგან, წლის განმავლობაში ეტაპობრივად საჩუქრის სახით მიიღო ჯამურად 15,300 აშშ დოლარი და 98,000 რუბლი. ასევე, 2021 წელს ნათესავისგან ყოველთვიურად საჩუქრად იღებდა დაახლოებით 1,250 აშშ დოლარს, ჯამში 14,980 აშშ დოლარი. დეკლარაციაში არ არის დაკონკრეტებული ნათესაური კავშირი, შესაბამისად უცნობია საჩუქრის გამცემი რამდენად მიეკუთვნება კანონით დადგენილ ახლო ნათესავთა წრეს.

საჩუქრის მიღების კანონთან შესაბამისობის განხილულ შემთხვევებს შორის, ასევე გამორჩეულია მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე გრიგალავას შემთხვევა. მას დეკლარაციაში მითითებული აქვს რომ 2020 წელს მერობის პერიოდში ფეხბურთის ფედერაციისგან საჩუქრის სახით მიღებული აქვს 40,000 ლარის ოდენობის ფულადი პრემია.

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს			
საჩუქრის მიმღები	**საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება**	**გამცემის მიმღებთან კავშირი**	**შენიშვნა**
ალექსანდრე გრიგალავა	ფულადი პრემია, 40000 GEL	ფეხბურთის ფედერაცია	

ასევე, კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით საეჭვო სოლიდური საჩუქრები მიღებული აქვს, მაგალითად, დუშეთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ-ს თამილა ნადირაშვილს, რომელსაც 2022 წელს ოჯახის ახლობელმა აჩუქა 39,500 დოლარი. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარეს უჩა ხუციშვილს 2022 წელს ნათესავისგან საჩუქრად მიღებული აქვს 30,000 დოლარის ღირებულის მანქანა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილეს დავით ბელქანიას 21,100 დოლარი ფულადი გზავნილის სახით აქვს მიღებული მეგობრისგან. გამოვლენილი საეჭვო შემთხვევები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით.

საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრების კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევები					
სახელი, გვარი	თანამდებობა	საჩუქრის მიმღები	საჩუქარი	კავშირი საჩუქრის გამცემსა და მიმღებს შორის	წელი
გურამ ჩადუნელი	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია სამხედრო აღრიცხვისა	დეკლარანტი	ფულადი გზავნილი სხვა ქვეყნიდან, 36660 USD	მეგობარი	2021

	და გაწვევის სამსახურის უფროსი				
ეკა გოშაძე	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	ფულადი გზავნილი სხვა ქვეყნიდან, 36660 USD	მეგობარი	2021
ავთანდილ ტივაძე	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი (ყოფილი)	დეკლარანტი	ფულადი გზავნილი , 7000 USD	ნათესავი	2021
მაგდა ბაღაკაშვილი	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია არქიტექტურის სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	ფულადი გზავნილები, 11220 USD	ნათესავური კავშირი. მული-რძალი	2022
გოჩა კილაძე	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე	დეკლარანტი	ფულადი თანხა(წლის მანძილზე მიღებული თანხა) 15350 GEL	მეგობარი	2022
	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე	დეკლარანტი	ფულადი თანხა(წლის მანძილზე მიღებული თანხა) 11300 GEL	მეგობარი	2021
	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიის თავმჯდომარე	დეკლარანტი	ფულადი თანხა (წლის მანძილზე ჩარიცხული თანხა)., 6500 GEL	მეგობარი	2020
თორნიკე გოგუაძე	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე	დეკლარანტი	ფული, ჯამში 8380 EUR	ნათესავი, მეჯვარე	2020
		დეკლარანტი	ფული, 200 USD	მეგობარი	2020
		დეკლარანტი	ფული, 2035 GEL	მეჯვარე	2020

		დეკლარანტი	ფული, ჯამში 8380 EUR	ნათესავი, მეჯვარე	2021
		დეკლარანტი	ფული, 200 USD	მეგობარი	2021
		დეკლარანტი	ფული, 2035 GEL	მეგობარი, მეჯვარე	2021
		დეკლარანტი	ფული, ჯამში 8380 EUR	ნათესავი, მეჯვარე	2022
		დეკლარანტი	ფული, 200 USD	მეგობარი	2022
		დეკლარანტი	ფული, 2035 GEL	მეგობარი, მეჯვარე	2022
ბექა თოიძე	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიის თავმჯდომარე	დეკლარანტი	ფულადი, 11496,79 EUR	მეუღლის დედა	2022
ალექსანდრე ტყებუჩავა	ქ. ფოთის მერის პირველი მოადგილე	დეკლარანტი	თანხა, 8000 USD	მეგობარი	2020
		დეკლარანტი	თანხა, 40000 GEL	მეგობარი	2020
	ქ. ფოთის საკრებულო თავმჯდომარე	დეკლარანტი	თანხა, 12000 GEL	მეგობარი	2022
		დეკლარანტი	თანხა, 12000 GEL	მეგობარი	2021
უჩა დოლიძე	ქ. ფოთის საკრებულო, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე	დეკლარანტი	თანხა, 4340 EUR,	მეგობარი	2022
დავით ესებუა	ქ. ფოთის საკრებულო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე	დეკლარანტი	თანხა, 10568,92 GEL	მეგობარი	2022
			თანხა, 4200 GEL	ნათესავი	2022
ანდრია ბასილაია	ქ. თბილისის მერია მერის მოადგილე	დეკლარანტი	ნაღდი ფული, 16189 GEL	მეგობარი	2020
თამარ მელიქიშვილი	ქ. თბილისის მერია, სსიპ-ქონების მართვის	დეკლარანტი	ფულადი თანხა, 4000 GEL	ბიძა	2021

	სააგენტოს უფროსის მოადგილე (ყოფილი)	დეკლარანტი	ფულადი თანხა, 6000 GEL	ბიძა	2022
ირაკლი გვილავა	ქ. თბილისის მერია კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	მიწის ნაკვეთი, 10000 GEL	ნათესავი	2021
უჩა ხუციშვილი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე	დეკლარანტი	მანქანა, 30000 USD	ნათესავი	2022
გიორგი ავსაჯანიშვილი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	მიწის ნაკვეთი, 10700 GEL	ბიძა	2020
		დეკლარანტი	საცხოვრებელი ფართი, 16200 GEL	ბიძა	2020
		დეკლარანტი	მიწის ნაკვეთი, 43300 GEL	ბიძა	2020
გიგა მამესწარაშვილი	ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავმჯდომარის მოადგილე	დეკლარანტი	გზავნილი, 15300 USD	ნათესავი	2022
		დეკლარანტი	გზავნილი, 98000 RUB	ნათესავი	2022
		დეკლარანტი	გზავნილი, 1300 USD	ნათესავი	2021
		დეკლარანტი	გზავნილი, 1250 USD	ნათესაური	2021
		დეკლარანტი	გზავნილი, 1250 USD	ნათესაური	2021
		დეკლარანტი	გზავნილი, 1250 USD	ნათესაური	2021
		დეკლარანტი	გზავნილი, 1250 USD	ნათესაური	2021

		დეკლარანტი	გზავნილი, 1250 USD	ნათესაური	2021
		დეკლარანტი	გზავნილი, 1250 USD	ნათესაური	2021
		დეკლარანტი	გზავნილი, 1250 USD	ნათესაური	2021
		დეკლარანტი	გზავნილი, 1240 USD	ნათესაური	2021
		დეკლარანტი	გზავნილი, 1230 USD	ნათესაური	2021
		დეკლარანტი	გზავნილი, 1230 USD	ნათესაური	2021
		დეკლარანტი	გზავნილი, 1230 GEL	ნათესაური	2021
დავით ბელქანია	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე	დეკლარანტი	ფულადი გზავნილი, 21100 USD	მეგობარი	2022
ალექსანდრე გრიგალავა	მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი	დეკლარანტი	ფულადი პრემია, 40000 GEL	ფეხბურთის ფედერაცია	2020
გივი კიკნაძე	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავმჯდომარის პირველი მოადგილე	დეკლარანტი	გზავნილი, 9136,42 USD	მამიდაშვილი	2022
ეთერი გურგენაშვილი	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე	დეკლარანტი	გზავნილი, 8000 USD	მეგობარი	2022
გაგა მანაგაძე	ქ. ქუთაისის საკრებულო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“	დეკლარანტი	ფულადი გზავნილი, 6245 EUR	ნათესავი	2022

	თავმჯდომარის მოადგილე		ფულადი გზავნილი, 2075 EUR	ნათესავი	2021
თეიმურაზ საყვარელიძე	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავმჯდომარის მოადგილე	დეკლარანტი	ფულადი საჩუქარი, 4500 EUR	მეგობარი	2020
თენგიზ ზედანია	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო, ფრაქცია „ჩხოროწყუ-საქართველოსთვის“ თავმჯდომარე	დეკლარანტი	ფულადი საჩუქარი, 5000 USD	მეგობარი	2022
თამაზ გეგეშიძე	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია ზედამხედველობის სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	საცხოვრებელი ბინა, 10000 GEL	ნათესავი	2022
თამილა ნადირაშვილი	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ	დეკლარანტი	ფულადი თანხა, 39500 USD	ოჯახის ახლობელი	2022
ილია ციციშვილი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	მიწის ნაკვეთი, 10000 GEL	შუტო საზანდარიშვილი	2020
მაია ხვედელიძე	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი	დეკლარანტი	ფულადი თანხა, 4297,6 GEL	ახლო მეგობარი	2022
		დეკლარანტი	ფულადი თანხა, 3645 USD	ნათესავები	2022
		დეკლარანტი	ფულადი თანხა, 3040 GEL	ახლო მეგობარი	2021
		დეკლარანტი	ფულადი თანხა, 7425 USD	ნათესავები	2021
		დეკლარანტი	ფულადი თანხა, 5300 USD	დეიდა, ნათესავები	2020
გელა მუმლაძე	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი (ყოფილი)	დეკლარანტი	მიწის ნაკვეთი და სახლი, 20000 GEL	ბიძა და მამიდა	2022

ზურაბ დალაქიშვილი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიის თავმჯდომარე	დეკლარანტი	საცხოვრებელი ბინა, 75000 GEL	მამიდა	2021
		დეკლარანტი	სარდაფი, 15000 GEL	მამიდა	2021

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **თუ საჯარო მოსამსახურე იღებს კანონით აკრძალულ საჩუქარს,** ამისთვის გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლით. თუმცა, პასუხისმგებლობის ზომის გარეშე რჩება თანამდებობის პირების ოჯახის წევრების მიერ კანონით აკრძალული საჩუქრების მიღების შემთხვევები, რაც შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც კანონმდებლობის გარკვეული ხარვეზი. მაგალითად, **თუ კანონით აკრძალულ საჩუქარს იღებს საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრი, ასეთ შემთხვევაში;**

- იგი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინოს ინფორმაცია და საჩუქარი გადასცეს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.
- თუ არ ასრულებს ამ ვალდებულებას 3 დღის ვადაში, ის დაარღვევს კანონს, თუმცა კანონის დარღვევისთვის ოჯახის წევრს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა არც სისხლის და არც ადმინისტრაციული წესით. **ბიურო ვერ ცნობს ოჯახის წევრს სამართალდამრღვევად**.
- თუ ოჯახის წევრი იღებს კანონით აკრძალულ საჩუქარს და ეს დეკლარაციაში არ წერია ან/და არასრულყოფილად წერია, **ამისთვის მხოლოდ საჯარო მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა;**
- თუ ოჯახის წევრი იღებს აკრძალულ საჩუქარს და დეკლარაცია სწორადაა შევსებული, არც საჯარო მოსამსახურე და არც ოჯახის წევრი არ დაისჯებიან არც სისხლის და არც ადმინისტრაციული წესით.

შესაბამისად, ოჯახის წევრებთან დაკავშირებული შემთხვევები შესაძლებელია შეფასდეს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევად, რისი დადასტურების შემთხვევაშიც რაიმე პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება არ არის გათვალისწინებული.

მაგალითად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილის უჩა ჭოტიაშვილის მეუღლეს მამიდისგან მიღებული აქვს საჩუქრად 12,000 დოლარის ღირებულების ბინა. ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილის იაგორ ასანიძის შვილს მეზობლისგან საჩუქრად მიღებული აქვს 6570 ევრო. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის კახა შელიას მეუღლემ ბიძაშვილისგან მიიღო საჩუქრად 15,000 ლარის ღირებულების ბინა. ქალაქ ფოთის მერის მოადგილის მეუღლეს ორი წლის განმავლობაში მიღებული აქვს მეგობრისგან საჩუქრად ორი მიწის ნაკვეთი ჯამური ღირებულით 10,000 ლარი. თითოეულ მსგავს შემთხვევაში ასევე არ არის მითითებული მჩუქებლის ვინაობა, რაც არ იძლევა გამცემი პირების და მათი ფინანსური შესაძლებლობების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

დასკვნა

თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ 2020-2022 წლებში ხშირი იყო შემთხვევები როდესაც თანამდებობის პირები იღებდნენ სოლიდური ღირებულების საჩუქრებს. კვლევაში მოყვანილი გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია საჩუქრის მიმღები თანამდებობის პირის და საჩუქრის გამცემი პირის კავშირებთან, საჩუქრისთვის საჭირო ფინანსების ბუნდოვან წარმომავლობასთან და სხვა, აჩენს ეჭვებს მთელი რიგი შემთხვევების კანონიერებასთან დაკავშირებით, ამასთან განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენს კვლევაში განხილული ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების შემთხვევა, რომელიც სავარაუდო კორუფციული ან/და სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

საჯარო სამსახურში საჩუქრის პოლიტიკის მოწესრიგების და აღსრულების კუთხით, მნიშვნელოვან პრობლემად შესაძლებელია შეფასდეს საქართველოს კანონმდებლობის არასრულფასოვანი რეგულაციები და ბუნდოვანი ჩანაწერები. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა ზღუდავს საჯარო მოსამსახურეების ოჯახის წევრების მიერ გარკვეული საჩუქრების მიღებას, თუმცა ამ ნორმის დარღვევისთვის, შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები არ არის დადგენილი. ასევე, ცალკეული შემთხვევების კანონიერების დადგენას, მნიშვნელოვნად ართულებს თანამდებობის პირების მიერ არასრულყოფილად შევსებული დეკლარაციები, რომელიც არ იძლევა საჩუქრის გამცემსა და მიმღებს შორის არსებული ზუსტი კავშირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას .

IDFI მიიჩნევს, რომ ბოლო წლებში თანამდებობის პირების მიერ საჩუქრების მიღების მასშტაბი, წარმოშობს საჯარო მოსამსახურეებზე საჩუქრის გაცემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო შეზღუდვების მონიტორინგის და მისი აღსრულების ეფექტურობის ზრდის აუცილებლობას. ამასთან, კვლევაში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები, წარმოადგენს მნიშნელოვან საფუძველს არაერთი თანამდებობის პირის მიერ მიღებული საჩუქრის კანონიერების დასადგენად, დამატებითი მოკვლევის ჩასატარებლად.

IDFI მოუწოდებს:

- ანტიკორუფციულ ბიუროს და შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს, შეისწავლონ ჩვენს მიერ ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი საეჭვო შემთხვევები და გაატარონ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

- საქართველოს კანონმდებლობაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს, საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრების მიერ საჩუქრის მიღების წესების მკაფიო რეგულირებას და ამ წესების აღსრულებისთვის შესაბამისი მექანიზმების არსებობას.

- დეკლარაციების მონიტორინგის ფარგლებში, უზრუნველყოფილ იქნას ყველა იმ თანამდებობის პირის დეკლარაციის დაზუსტება, რომელიც არ იძლევა საჩუქრის გამცემსა და მიმღებს შორის ზუსტი კავშირის და ვინაობის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ასევე, დეკლარაციის შევსების წესში, შევიდეს შესაბამისი

ცვლილებები, რომელიც თანამდებობის პირებს დაავალდებულებს დეკლარაციაში საჩუქრის მიღების ზუსტი თარიღის მითითებას.